30/07/2026

MES 6 26 0000993723

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 29.07.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 13:55 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/დასკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1) **შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავები":**
ქეთევან ჯაფარიძე - დირექტორი;
ზურაბ ჯაფარიძე - დამფუძნებელი;
ელზა უდესიანი - მენეჯერი.

2) **ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება:**
ნინო რობაქიძე - გაერთიანების დირექტორი;
ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ტერეზა გურგენიძე - საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერი;
სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი:
ნინელი მშვილდაძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

3)**ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი:**
ირმა გაბისონია - ცენტრის დირექტორი;
დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი:
ქეთო ნანავა - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ბანძის საბავშვო ბაღი:
ეკა პატარაია - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ხუნწის საბავშვო ბაღი:
ელზა თოფურია - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

4) ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება:
აიშე თებიძე - გაერთიანების ხელმძღვანელი;
დანდალოს ბაგა-ბაღი:
თამარ ბერიძე - ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი;
ქედის N1 ბაგა-ბაღი:
მაია ხაბაზი - ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავები"
ნანა ხითარიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ;
სოფიო გოცირიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 29 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1798685 17/12/2025, №1853621 29/12/2025 და № 1787949 15/12/2025 სხდომის ოქმებში ცვლილების და შემდეგი ავტორიზებული დაწესებულებების: ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი, სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი), ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი, ბანძის საბავშვო ბაღი, ხუნწის საბავშვო ბაღი), ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დანდალოს ბაგა-ბაღი, დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავებში" ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 და 8 მაისს. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამების განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1) ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაშის" საფუძველზე შედგენილი კურიკულუმი "ვარსკვლავები" 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2) ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამისთვის იყო 10, ხოლო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამისთვის 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვთა რაოდენობისთვის (ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა - 10, ხოლო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - 60).
ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა საჯარო რეესტრის ამონაწერის საკითხით, რომელშიც არ იყო ასახული ინფორმაცია იურიდიული პირის მიერ ქონების ფლობის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა ხითარიშვილის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ადგილზე წარმოადგინა მფლობელსა და ბაღის დირექტორს შორის 6 წლის ვადით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება.
ეკატერინე ლეჟავა ასევე დაინტერესდა, სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის აქტის ან სერთიფიკატის არსებობის საკითხით.
კვების ექსპერტის, მარინე ზაზაშვილის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი.
ეკატერინე ლეჟავამ მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელს, სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნასთან დაკავშირებული შეუსაბამობების თაობაზე წარმოედგინათ არგუმენტირებული პოზიცია.
დაწესებულების მენეჯერმა, ელზა უდესიანმა განმარტა, რომ ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებული საკითხი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ჰქონდათ გაწერილი თორმეტ თვეზე. ასევე, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკებები ადრეული ასაკის კვებასთან დაკავშირებით და ფიქრობენ, რომ სექტემბრისთვის უკვე მზად იქნება.
დაწესებულების დამფუძნებელმა, ზურაბ ჯაფარიძემ დაამატა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიწყეს მყისიერი მოლაპარაკებები და აგვისტოს ბოლოსთვის ელოდებიან 0-6 წლამდე ბავშვებისთვის სრულყოფილ მენიუს.
ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა შეუსაბამოდ დარჩენილი საკითხებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა ხითარიშვილმა განმარტა, რომ მატერიალური რესურსის ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მხრიდან არგუმენტირებულ პოზიციაზე მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ფოტო მასალა და არ იყო წარმოდგენილი ფოტოზე მითითებული რესურსის ფლობის მტკიცებულებები. ფლობის ნაწილში ვერ დაიდენტიფიცირდა სკამებისა და მაგიდების შეძენა. ასევე, მეძუძური დედებისთვის განკუთვნილი სივრცეებისა და ადაპტირებული სანიტარული კვანძების ფოტო მასალა, ახლო კადრი არ იძლეოდა საშუალებას სივრცის სრულად აღქმის. ასევე, ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ნაწილში კიბის მოაჯირისა და ღობის ფოტოების შემთხვევაშიც არ ჩანდა გაზომვადობა რომ ეს არის სტანდარტთან შესაბამისი ზომები. შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება.
საბჭოს წევრმა, ნინო ლაბარტყავამ, გასცა დამატებითი რეკომენდაციები, კერძოდ: რადგან დაწესებულება ითხოვს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტატუსს, მან მომსახურება უნდა გაუწიოს 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს, მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოსთან (ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაშის" საფუძველზე შედგენილი კურიკულუმი "ვარსკვლავები" 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის) მიმართებით, ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ტრანზიციასა და აღმზრდელთან უსაფრთხო მიჯაჭვულობის ფორმირებას. ასევე, შერჩეული აქტივობები უნდა იყოს ასაკობრივი, დაწვრილებითი და თანმიმდევრული, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა ემოციურ განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ჯგუფებში აღმზრდელთა თანაფარდობით.
დაწესებულების მენეჯერმა, ელზა უდესიანმა განმარტა, რომ კანონის შესაბამისად არის გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგით გადამზადების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის, ელზა უდესიანის განმარტებით, პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი გაიარა ყველა აღმზრდელმა, ფსიქოლოგმა, ექიმმა და აღნიშნული საკითხი დასტურდებოდა შესაბამისი სერტიფიკატებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ გააკეთა კომენტარი, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კვებითი მომსახურების განხორციელების მნიშვნელობაზე.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი დაინტერესდა, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის, ელზა უდესიანის განმარტებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვთ კადრების გადამზადება და ასევე, გარემოს მოწყობა. ამ ეტაპზე ფიზიკური გარემო სრულყოფილი არ არის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მიღების მზაობა დაწესებულებას არ აქვს. ხოლო, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მიღება შესაძლებელია, ჰყავთ ფსიქოლოგი და შემუშავებული აქვთ შესაბამისი მექანიზმი.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ბავშვზე ძალადობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და აქვს გაწერილი შესაბამისი მექანიზმი.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების საკითხით. ასევე, დაინტერესდა თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში არსებული საგანმანათლებლო პერსონალის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის, ელზა უდესიანის განმარტებით, თითოეულ ჯგუფზე განსაზღვრული ჰყავთ ერთი აღმზრდელ-პედაგოგი და ერთი აღმზრდელის თანაშემწე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 12:16
დასრულების დრო - 12:39

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავები"-ს ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის: ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამაზე 10-ით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამაზე 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და

შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავებს" უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1798685 17/12/2025, №1853621 29/12/2025 და № 1787949 15/12/2025 სხდომის ოქმებში ცვლილების და შემდეგი ავტორიზებული დაწესებულებების: ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი, სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი), ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - საააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი, ბანძის საბავშვო ბაღი, ხუნწის საბავშვო ბაღი), ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დანდალოს ბაგა-ბაღი, დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლის, ნინო რობაქიძის განმარტებით ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში შემუშავდა და შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად იდენტიფიცირებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია, განახლდა სამუშაო ჯგუფი, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, მოეწყო გარე სივრცე სტანდარტის შესაბამისად, მოძიებულ იქნა შესაბამისი ორგანიზაცია (კოლეჯი) და პერსონალი გადამზადდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით, რაც დასტურდება სერტიფიკატებით. გაიწერა საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო, დაწესებულებაში გამოყენება სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო ხსნარი, აღმოფხვრილია მწერებისგან დამცავ ბადესთან დაკავშირებული ხარვეზი, შესწავლილი და აღრიცხულია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები, შედგენილია მცენარეთა ჩამონათვალი, შეფასებულია მათი პოტენციური საფრთხე ბავშვების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით და გატარებულია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.
დაწესებულებაში განხორციელდა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად საწოლების ნაწილის გადანაწილება. მცირე ასაკოვანი ჯგუფების საწოლების სრულად უზრუნველყოფისათვის გაკეთებულია მიმართვა და ელოდებიან კონსოლიდირებულ ტენდერს. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და ხელშეკრულებები შემუშავების პროცესშია. ასევე, მიმდინარეობს ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილების დაგეგმვა, ხარისხის მართვის მენეჯერის განსაზღვრა, შესაბამისი პირის შერჩევა, ადამიანური რესურსის შეფასების ფორმების შემუშავება და გაცნობის პროცესი. შენობაში არსებული პანდუსისა და ღობის სიმაღლის საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი ბაღდათს მერიის შესაბამის სამსახურში და გამოცხადებულია ტენდერი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს კვების მარეგულირებელ დოკუმენტსა და მენიუფაქტურებში ცვლილებების შეტანა, მათ შორის ენერგეტიკული ღირებულებების გადანაწილებისა და დაანგარიშების უზუსტობების გასწორება, ასევე მენიუს შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ ნორმატიულ

მოთხოვნებთან. გამოცხადდა ბაზრის კვლევა, მოძიებულია ინვოისები და უახლოეს პერიოდში გაფორმდება ხელშეკრულება ნუტრიციოლოგთან. დაწესებულება მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელით. მიმდინარეობს დამატებითი ჭურჭლის შესყიდვის პროცესი, რის შედეგადაც სრულად იქნება დაკმაყოფილებული საჭირო მოთხოვნები. ნაქსოვი ხალიჩები ამოღებულია მოხმარებიდან, დაწესებულება გეგმავს ფაზლი-ხალიჩების შეძენას, რადგანაც ვერ იქნა მოძიებული ვერც რაიონში და ვერც მიმდებარე მუნიციპალიტეტებში ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ლეიბების ქიმიურ წმენდას, გადაწყდა ლეიბების დამცავი პირების შეძენა, რომლის რეცხვა-დეზინფექცია მოხდება ისე, როგორც ხდება თეთრეულის რეცხვა და გაკეთდება სპეციალური ჩანაწერი.
აღსაღნიშნავია, რომ ინსფრასტრუქტურის შესახებ იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, რომელიც არ შედგა. თუმცა ტენდერი გამოცხადებულია მოცემული ეტაპისთვისაც.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული ხარვეზიების სრულად აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 12:52
დასრულების დრო -12:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმის №07 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმის №07 ნაწილში და ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებაში (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლის, ნინო რობაქიძის განმარტებით სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღში შემუშავდა და შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად იდენტიფიცირებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია, განახლდა სამუშაო ჯგუფი, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, მოეწყო გარე სივრცე სტანდარტის შესაბამისად, მოძიებულ იქნა შესაბამისი ორგანიზაცია (კოლეჯი) და პერსონალი გადამზადდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით, რაზეც გაიცა სერტიფიკატები. გაიწერა საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო, დაწესებულებაში გამოყენება სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი-ის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო ხსნარი, აღმოფხვრილია მწერებისგან დამცავ ბადესთან დაკავშირებული ხარვეზი, შესწავლილი და აღრიცხულია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები, შედგენილია მცენარეთა ჩამონათვალი, შეფასებულია მათი პოტენციური საფრთხე ბავშვების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით და გატარებულია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.
დაწესებულებაში განხორციელდა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად საწოლების ნაწილის გადანაწილება. მცირე ასაკოვანი ჯგუფების საწოლების სრულად უზრუნველყოფისათვის გაკეთებულია მიმართვა და ველოდებით კონსოლიდირებულ ტენდერს. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და ხელშეკრულებები შემუშავების პროცესშია. მიმდინარეობს ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილების დაგეგმვა, ხარისხის მართვის მენეჯერის განსაზღვრა, შესაბამისი პირის შერჩევა, ადამიანური რესურსის შეფასების ფორმების შემუშავება და გაცნობის პროცესი. შენობაში არსებული პანდუსისა და ღობის სიმაღლის საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი ბაღდათს მერიის შესაბამის სამსახურში და გამოცხადებულია ტენდერი. ეზოს მოწყობასთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოფხვრის პროცესშია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს კვების მარეგულირებელ დოკუმენტსა და მენიუფაქტურებში ცვლილებების შეტანა, მათ შორის ენერგეტიკული ღირებულებების გადანაწილებისა და დაანგარიშების უზუსტობების გასწორება, ასევე მენიუს შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან. გამოცხადდა ბაზრის კვლევა, მოძიებულია ინვოისები და უახლოეს პერიოდში გაფორმდება ხელშეკრულება ნუტრიციოლოგთან. დაწესებულება მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელით. მიმდინარეობს დამატებითი ჭურჭლის შესყიდვის პროცესი, რის შედეგადაც სრულად იქნება დაკმაყოფილებული საჭირო მოთხოვნები. ნაქსოვი ხალიჩები ამოღებულია მოხმარებიდან, დაწესებულება გეგმავს ფაზლი-ხალიჩების შეძენას, რადგანაც ვერ იქნა მოძიებული ვერც რაიონში და ვერც მიმდებარე მუნიციპალიტეტებში ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ლეიბების ქიმიურ წმენდას, გადაწყდა ლეიბების დამცავი პირების შეძენა, რომლის რეცხვა-დეზინფექცია მოხდება ისე, როგორც ხდება თეთრეულის რეცხვა და გაკეთდება სპეციალური ჩანაწერი.
აღსაღნიშნავია, რომ ინსფრასტრუქტურის შესახებ იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, რომელიც არ შედგა. თუმცა ტენდერი გამოცხადებულია მოცემული ეტაპისთვისაც.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ხარვეზიების სრულად აღმოფხვრის მიზნით მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 12:59
დასრულების დრო -13:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმის №08 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმის №08 ნაწილში და ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებაში (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლაჟავა, დაინტერესდა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრში შემავალი დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების საკითხით.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელებულია, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ცვლილების შემდგომ, მასთან ერთად დეტალურად იყო განხილული დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ბიუჯეტში მცირე თანხის არსებობის გამო, იმ ხარვეზების, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება, აღმოფხვრის ვადა გაიზარდა 2027 წლამდე და განისაზღვრა ახალი ბიუჯეტი.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, დეტალურად ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ აქტივობებზე, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება და განხორციელება იგეგმება 2027 წლის ბიუჯეტით. აღნიშნა, რომ უკვე მოძიებულია ინვოისი და წლის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი ფანჯრების მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე დაწყებულია მუშაობა სამედიცინო სივრცის მოწყობისთვის. ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ მინების შემცვლელი ვიტრაჟებია დაწესებულებაში, რომელთაც არ აქვთ არანაირი დასკვნა რომ

ნაწრთობი მინაა, შესაბამისად, იგეგმება დამატებითი სამუშაობის ჩატარება, რათა ხელახლა დაიფაროს აღნიშნული ვიტრაჟები. კიბის უჯრედთან მიმართებით გამოვლენ ხარვეზებზე, დგარებს შორის მანძილთან და სახელურთან დაკავშირებით, უკვე განსაზღვრულია ბიუჯეტში ფინანსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:08
დასრულების დრო -13:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №10 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №10 ნაწილში და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (დიდი ჭყონის N-1 საბავშვო ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 09 ნოემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ბანძის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლაჟავა დაინტერესდა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრში შემავალ ბანძის საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების საკითხით.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელებულია, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ცვლილების შემდგომ, მასთან ერთად დეტალურად იყო განხილული დაწესებულების შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა და ბიუჯეტში მცირე თანხის არსებობის გამო, იმ ხარვეზების, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება, აღმოფხვრის ვადა გაიზარდა 2027 წლამდე და განისაზღვრა ახალი ბიუჯეტი.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, დეტალურად ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ აქტივობებზე, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება და განხორციელება იგეგმება 2027 წლის ბიუჯეტით. აღნიშნა, რომ უკვე მოძიებულია ინვოისი და წლის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი ფანჯრების მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე, დაწყებულია მუშაობა სამედიცინო სივრცის მოწყობისთვის. ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ მინების შემცვლელი ვიტრაჟებია დაწესებულებაში, რომელთაც არ აქვთ არანაირი დასკვნა რომ ნაწრთობი მინაა, შესაბამისად, იგეგმება დამატებითი სამუშაობის ჩატარება, რათა ხელახლა დაიფაროს აღნიშნული ვიტრაჟები. კიბის უჯრედთან მიმართებით გამოვლენილ ხარვეზებზე, დგარებს შორის მანძილთან და სახელურთან დაკავშირებით, უკვე განსაზღვრულია ბიუჯეტში ფინანსები. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, პრობლემას წარმოადგენს რკინის კარი, რომელსაც არ მოყვება დასკვნა, რომ 120 წუთის განმავლობაში არის ხანძარგამძლე, ამასთან დაკავშირებით ჩატარდა ბაზრის კვლევა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამის ექსპერტიზას საქართველოში არცერთი ლაბორატორია არ აწარმოებს, შესაბამისად, კარის შეცვლა უწევთ, რაც დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:15
დასრულების დრო -13:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ბანძის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №11 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №11 ნაწილში და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ბანძის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 09 ნოემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ხუნწის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლაჟავა დაინტერესდა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრში შემავალ ხუნწის საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების საკითხით.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, განმარტა, რომ ამ ეტაპისთის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელებულია ხოლო, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ცვლილების შემდგომ, მასთან ერთად დეტალურად იყო განხილული დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ბიუჯეტში მცირე თანხის არსებობის გამო, იმ ხარვეზების, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება, აღმოფხვრის ვადა გაიზარდა 2027 წლამდე და განისაზღვრა ახალი ბიუჯეტი.
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორმა, ირმა გაბისონიამ, დეტალურად ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ აქტივობებზე, რომელთაც საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება და განხორციელება იგეგმება 2027 წლის ბიუჯეტით. აღნიშნა, რომ უკვე მოძიებულია ინვოისი და წლის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი ფანჯრების მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე, დაწყებულია მუშაობა სამედიცინო სივრცის მოწყობისთვის. ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ მინების შემცვლელი ვიტრაჟებია დაწესებულებაში, რომელთაც არ აქვთ არანაირი დასკვნა რომ ნაწრთობი მინაა, შესაბამისად, იგეგმება დამატებითი სამუშაობის ჩატარება, რათა ხელახლა დაიფაროს აღნიშნული ვიტრაჟები. კიბის უჯრედთან მიმართებით გამოვლენილ ხარვეზებზე, დგარებს შორის მანძილთან და სახელურთან დაკავშირებით, უკვე განსაზღვრულია ბიუჯეტში ფინანსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -13:25
დასრულების დრო -13:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ხუნწის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №12 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №1853621 სხდომის ოქმის №12 ნაწილში და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის (ხუნწის საბავშვო ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 09 ნოემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (სოფელი დანდალოს ბაგა-ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლაჟავა, დაინტერესდა, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ სოფელი დანდალოს ბაგა-ბაღთან დაკავშირებით და ითხოვა განმარტება მონიტორინგის ფარგლებში არსებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით.
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა, აიშე თებიძემ, განმარტა, რომ ამ ეტაპისთის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილის უმრავლესობა უკვე განხორციელებულია. დარჩენილია მეორე სართულის პანდუსის გაკეთება, რომელიც 2027 წლის ბიუჯეტში გაიწერება. მანამდე დაწესებულებას შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს გაუწიოს მომსახურება, რადგანაც პირველ სართულზე შესაბამისად მოწყობილია ჯგუფებიც და ადაპტირებული სველი წერტილებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:35
დასრულების დრო -13:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (სოფელი დანდალოს ბაგა-ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787949 სხდომის ოქმის №08 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787949 სხდომის ოქმის №08 ნაწილში და ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (სოფელი დანდალოს ბაგა-ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 19 სექტემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი) მონიტორინგის თარიღის ერთი წლით გადავადებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლაჟავა, დაინტერესდა, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღთან დაკავშირებით და ითხოვა განმარტება მონიტორინგის ფარგლებში არსებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით.
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა, აიშე თებიძემ, განმარტა, რომ ამ ეტაპისთის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილის უმრავლესობა უკვე განხორციელებულია. დარჩენილია მეორე სართულის პანდუსის გაკეთება, რომელიც 2027 წლის ბიუჯეტში გაიწერება. მანამდე დაწესებულებას შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს გაუწიოს მომსახურება, რადგანაც პირველ სართულზე შესაბამისად მოწყობილია ჯგუფებიც და ადაპტირებული სველი წერტილებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:50
დასრულების დრო -13:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი) მონიტორინგის ვადის ცვლილების მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787949 სხდომის ოქმის №09 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787949 სხდომის ოქმის №09 ნაწილში და ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 19 სექტემბრისა“ განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე